ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N27

2019 წლის 31 იანვარი
ქ. ქობულეთი

## სს ,,სილქნეტი''-სათვის საზოგადოებრივი სივრცის გამოყენებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა სს ,,სილქნეტი''-ს თანდართული სქემის შესაბამისად დაბა ჩაქვში, თამარ მეფის ქუჩა N79-ის მიმდებარედ არსებულ გარე განათების ბოძებზე საჰაერო კაბელის მონტაჟისათვის საჭირო სამუშაოების წარმოებაზე.

2. სს ,,სილქნეტმა'' უზრუნველყოს საჰაერო კაბელის მონტაჟისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურთან, ქ.ქობულეთში არსებული სხვა საინჟინრო-კომუნალური ქსელების მეპატრონეებთან.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურებს.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე                                        დ.მჭედლიშვილი




საპროექტო სამონტაჟო ობ კაბელი
მარკირება: 5-0-12-378

## პირობითი ნიშნები

- არსებული სატ. კანალიზაცია
- არსებული ჭა
- გარე განათების ბოძი
- ჩასართავი ობიექტი
- ელექტრო-კაბელი
- საჰაერო ოკ- 12

# 1 - 2

41.71872 41.73316

| სახაზო ნაგებობები | CRM ID: | ფურცელი | გვ |
|---|---|---|---|
| | 199052 | 1 | 1 |

**სამონტაჟო ნახაზი**

9/17/2018